# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

4 აპრილი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 61 (10 474) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ფოთი 91

საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქი — წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი

# საქართველო ყველაფერს გააკეთებს...

**1991 წლის** აგვისტოში ფოთში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში. ასეთი რანგის შეჯიბრების გამასპინძლების პერსპექტივას ბევრი სკეპტიკურად უყურებდა. მაგრამ იყვნენ ოპტიმისტებიც, რომლებიც იბრძოდნენ იმისთვის, რომ ხელიდან არ გაგვეშვა რესპუბლიკისთვის ესოდენ პრესტიჟული და სასარგებლო ჩემპიონატის ჩატარების შანსი. ერთ-ერთი ამ ენთუზიასტთაგანი გახლდათ ფოთის ჩაის კომბინატის დირექტორი, საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი რომან ძელია, რომელიც ამას წინათ შვეციაში იმყოფებოდა. აი, რა გვიამბო მან:

— სტოკჰოლმში გაიმართა წყალსათხილამურო სპორტის მსოფლიო ფედერაციის კონგრესი, რომელსაც ესწრებოდნენ სპორტის ამ სახეობის 23 ქვეყნის ფედერაციათა პრეზიდენტები, ცნობილი სპორტსმენები და სხვა ოფიციალური პირები. კონგრესზე მოისმინეს ჩემი მოხსენება ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების თაობაზე. ვუჩვენე აგრეთვე 15-წუთიანი ვიდეოფილმი, რომელზეც ასახულია საქართველოსა და ჩვენი ქალაქის ხედები, ვერტმფრენიდან გადაღებული მალთაყვის ტყე-პარკი, საწყლოსათხილამურო ბაზა, ზღვის სანაპირო ზოლი და სხვა. ფილმმა, რომელსაც ახლდა ტიტრები ინგლისურ ენაზე, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კონგრესის მონაწილეებზე.

დამსწრეთ ყველაზე მეტად აფიქრებდათ საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოში შექმნილი ვითარება. მათ სურთ იცოდნენ, რა გარანტიების მიცემა შეგვიძლია ჩვენ, რომ აგვისტოში, ჩემპიონატის ჩატარების დროს, საქართველოში, კერძოდ ფოთში, არ დაიძაბება პოლიტიკური ვითარება, რამაც შეიძლება ჩაშალოს ჩემპიონატი. მე მათ ავუხსენი, რომ ამის წინასწარ განჭვრეტა არავის ძალუძს, რადგან საქართველო პრინციპულად და უკომპრომისოდ ებრძვის „ცენტრს“ დამოუკიდებლობის აღსადგენად. სწორედ ამის შედეგია დაძაბულობა სამაჩაბლოში, რომელიც ეთნოკონფლიქტად მონათლა მოსკოვმა. მაგრამ ეს არ გვაძლევს უიმედობის საფუძველს. ყველაზე დიდი გარანტიაა ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის ბატონ თენგიზ სიგუას წერილი საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ბატონ ობრი შინასადმი, რომელშიც ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ საქართველო ყველაფერს გააკეთებს ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში საქართველოზე ინფორმაცია მწირია და არაობიექტური. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ისინი ძირითადად ეყრდნობიან ცენტრალური პრესისა და საკავშირო ტელევიზიის მასალებს. მე შევეცადე რეალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სურათი დამეხატა მათთვის; ამასთან, გადავეცი ინგლისურ ენაზე გამომავალი გაზეთის — „საქართველოს მაცნეს“ რამდენიმე ნომერი. მასალების გაცნობის შემდეგ კონგრესის მონაწილენი გაოცებული დარჩნენ და მითხრეს, რომ ამ მასალებს გამოიყენებენ პრესაში და ტელევიზიაში.

ევროპული მასშტაბის შეჯიბრების მასპინძლობა ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ შეუძლებელია. ყველაფერი შედარებით ადვილად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე გაკეთდებოდა, ადრინდელ ხელმძღვანელობას — რესპუბლიკურსაც და ადგილობრივსაც — საქართველოსთვის ამ შეჯიბრების მნიშვნელობა რომ კარგად გაეაზრებინა. საქმეს სერიოზულად რომ მოჰკიდებოდნენ, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატი აპრილში ჩატარდებოდა, როგორც ეს თავდაპირველად იყო გათვალისწინებული. საქმე, ფაქტობრივად, ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ დაიძრა ადგილიდან — რესპუბლიკის მთავრობამ გამოყო 15 მილიონი მანეთი, ხოლო სპონსორმა — ჩაის კომბინატმა 12 მილიონი.

ჩემპიონატის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ოპტიმისტურად ვუყურებთ მომავალს. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ შეიქმნა ახალი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბატონი თენგიზ სიგუა. მის მოადგილედ დაინიშნა წყალსათხილამურო სპორტში ცნობილი პიროვნება ბატონი გურამ დოლბაია, რომელიც უხელმძღვანელებს ქალაქში შექმნილ შტაბს. ეს კანდიდატურა მიზანშეწონილად ჩათვალა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, რადგან უნართან და ორგანიზატორულ ნიჭთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბატონი გურამი ის პიროვნებაა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა წყალსათხილამურო სპორტს ფოთში. საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაცია კმაყოფილია ქალაქის პრეფექტის ბატონ თენგიზ ბარამიძის აქტიურობით.

ჩვენი მიზანია ევროპას გავაცნოთ ჩვენი ქალაქი და საქართველო, ჩვენი კულტურა და ხალხი. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს სპორტულ ბაზაზე გამართული ეს შეჯიბრება საფუძველს ჩაუყრის უცხოეთთან საქმიან კონტაქტებს.

**საუბარი ჩაიწერა ტრისტან მაჩაიძემ.**
„ლელოს“ საკ. კორ.
ფოთი.

## პროგრამა მინიმუმი შესრულებულია

**დამთავრდა** კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის მატჩები „ბ“ ჯგუფის გუნდებისათვის. 22-22 შეხვედრის შემდეგ გამოვლინდა ის ოთხი კოლექტივი, რომლებიც „პლეი-ოფის“ სერიის ტურნირებში „ა“ ჯგუფში გადასვლისთვის იბრძოლებენ. სასიამოვნოა, რომ ამ კვარტეტში მოხვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კოლექტივიც. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა კალათბურთელებმა პროგრამა მინიმუმი შეასრულეს.

აი, როგორია სატურნირო ცხრილი პირველი ეტაპის შემდეგ:

### გათამაშების ცხრილი

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „დინ.“ (მოსკოვი) | 18 | 4 | 40 |
| „ურალმაშ.“ (სვერდ.) | 17 | 5 | 39 |
| „შრ. რეზ.“ (გორკი) | 17 | 5 | 39 |
| სტუ (თბილისი) | 16 | 6 | 38 |
| „კრ. აკსაი“ (როსტოვი) | 15 | 7 | 37 |
| „უნივერსიტ.“ (სიმფ.) | 15 | 7 | 37 |
| „ვილფ.“ (ტარტუ) | 8 | 14 | 30 |
| „ვოლნა“ (ლენინგრ.) | 7 | 15 | 29 |
| „ლვოვგორსტროი“ | 7 | 15 | 29 |
| „სპარტ.“ (პენზა) | 6 | 16 | 28 |
| „მედიკი“ (დონეცკი) | 5 | 17 | 27 |
| „სტალი“ (დნეპრ.) | 1 | 21 | 23 |

საკავშირო ჩემპიონატები კალათბურთსა და წყალბურთში

## ორ სხვადასხვა პოლუსზე

**როგორც** მკითხველებმა იციან, თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურის მატჩებში წარუმატებლად გამოვიდნენ და სატურნირო ცხრილში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე გადაინაცვლეს.

27-29 აპრილს კიევსა და სევასტოპოლში გაიმართება მეექვსე ტურის მატჩები. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი გუნდი ამჯერად უკეთ ითამაშებს და ოდნავ მაინც გამოიკეთებს სატურნირო მდგომარეობას.

### გათამაშების ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკ სხფ | 18 | 1 | 0 | 37 |
| „დინ.“ (მოსკოვი) | 16 | 1 | 2 | 33 |
| უნივ. (მოსკოვი) | 11 | 4 | 4 | 26 |
| „დინ.“ (ლვოვი) | 11 | 1 | 7 | 23 |
| „დინ.“ (ალმა-ათა) | 8 | 3 | 8 | 19 |
| „მოსკვიჩი“ | 8 | 2 | 9 | 18 |
| კაფ (სევასტოპოლი) | 7 | 2 | 10 | 16 |
| „ლოკ.“ (ხარკოვი) | 5 | 6 | 8 | 16 |
| „ტორპ.“ (მოსკოვი) | 4 | 6 | 9 | 14 |
| „დინ.“ (კიევი) | 5 | 3 | 11 | 13 |
| „დინ.“ (თბილისი) | 4 | 4 | 11 | 12 |
| „სპარტ.“ (ვოლგოგრადი) | 0 | 1 | 18 | 1 |

საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყალბურთელთა ახალგაზრდული კოლექტივი ასპარეზობს, რომელსაც ხუთი ტურის შემდეგ არც ისე ურიგო სატურნირო მდგომარეობა აქვს:

### გათამაშების ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| უსდ (მინსკი) | 18 | 1 | 0 | 37 |
| „ბალტიკა“ (ლენინგრ.) | 14 | 2 | 3 | 30 |
| „აზოვი“ (მარიუპ.) | 13 | 2 | 4 | 28 |
| თსუ (თბილისი) | 10 | 3 | 6 | 23 |
| „სინთეზი“ (ყაზანი) | 8 | 4 | 7 | 20 |
| „მედეო“ (ალმა-ათა) | 8 | 3 | 8 | 19 |
| უსდ (კიშინიოვი) | 7 | 4 | 8 | 18 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 6 | 4 | 9 | 16 |
| „მაიაკი“ (მოსკოვი) | 8 | — | 11 | 16 |
| „შრ. რეზ.“ (ვორონ.) | 5 | 1 | 13 | 11 |
| კაფ (ბაქო) | 3 | 1 | 15 | 7 |
| „მეზნატი“ (ტაშკ.) | 1 | 1 | 17 | 3 |

ამ ჯგუფშიც მეექვსე ტურის მატჩები 27-29 აპრილს გაიმართება კიშინიოვსა და ვორონეჟში.



## მატიანე

**თავდაპირველად** იმათზე, ვინც ამ ძველისძველ ფოტოზე არიან აღბეჭდილნი: 1934 წელი, თბილისის კალათბურთელთა ნაკრები. მარცხნიდან — გუნდის წარმომადგენელი ვლადიმერ მდივანი, გიორგი ავალიშვილი, შალვა ყიასაშვილი, არჩილ წერეთელი, ლევან ფალავანდიშვილი, რობერტ მდივანი, ვახტანგ ციციშვილი და სურენ ოგანეზოვი.

საქართველოს კალათბურთელთა პირველი ასპარეზობა საკავშირო ჩემპიონატში. კიევი. ეს გუნდი, ფაქტობრივად, თბილისის „დინამოა“, დამატებულია მხოლოდ ოგანეზოვი. ყველასთვის უცნობი კოლექტივის დებიუტი უკრაინის დედაქალაქში წარმატებული გამოდგა. იყო მესამე ადგილზე გასვლის შანსიც, მაგრამ თბილისელებმა გადამწყვეტი ბრძოლა ოდესის კალათბურთელებთან ერთი ქულით წააგეს. ტურნირის შემდეგ შედგა საკავშირო ნაკრები, რომელშიც მიიწვიეს: ხუთი ლენინგრადელი, ოთხი მოსკოველი და ლევან ფალავანდიშვილი (სტატისტიკის მოყვარულთათვის — ფალავანდიშვილი პირველი ქართველი კალათბურთელია, რომელიც საკავშირო ნაკრებში „გაიწვიეს“).

სხვათა შორის, თბილისის და ოდესის გუნდების შეხვედრათა ისტორია ამით არ ამოწურულა, ერთი წლის შემდეგ ბევრი რამ განმეორდა — ისევ საკავშირო ჩემპიონატი (ამჯერად ლენინგრადში), მესამე ადგილის პრეტენდენტთა შორის ისევ ოდესისა და თბილისის გუნდები, ისევ ოდესელთა კაპიტანი — ფეოდორ ფოტერმანი და ჩვენი ნაკრები... იმავე შემადგენლობით. მესამე ადგილს კი ამჯერად თბილისელები ეუფლებიან: გადამწყვეტ შეხვედრას იგებენ 1 ქულით.

თბილისის კოლექტივმა ამ შემადგენლობით თავი გამოიჩინა 1936 წელსაც, მაგრამ ეს უკვე ქალაქების მატჩი იყო ლენინგრადში. ქართველმა კალათბურთელებმა 2 ქულის უპირატესობით დაამარცხეს ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი მოსკოვის ნაკრები (30:28) და პირველი ადგილისათვის გადამწყვეტი შეხვედრა დათმეს მასპინძლებთან. საინტერესოა, რომ ნევისპირელთა შორის უძლიერესი იყო ალექსანდრე (საშა) ელენსკი, რომლის „უვნებელყოფა“ ვერაფრით ვერ მოხერხდა. იმ წელს „დინამოს“ „საიდუმლო“ მოლაპარაკება ჰქონია ელენსკისთან და ოქტომბერში იგი უკვე ჩვენს გუნდში თამაშობდა...

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

**გუშინ** რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაიმართა ფეხბურთში მეორე ეროვნული ჩემპიონატის XV ტურის შეხვედრები:

| | |
|---|---|
| „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ხანავარდო“ (სამტრედია) | 4:2 |
| „მზიური“ (გალი) — „კოლხეთი“ (ხობი) | 3:2 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) — „დილა“ (გორი) | 2:0 |
| „ივერია“ (ხაშური) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) | 1:0 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ცხუმი“ (სოხუმი) | 1:2 |
| „სულორი“ (ვანი) — „ბათუმი“ (ბათუმი) | 0:0 |
| „მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 0:1 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) — „გორდა“ (რუსთავი) | 1:0 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) | 0:1 |

## ასოციაცია გთხოვთ...

**რესპუბლიკაში** მიმდინარეობს მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის პირველადი რგოლის — ადგილობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბების ჩამოყალიბება. ბევრგან ასეთი კლუბები უკვე შეიქმნა.

ასოციაციის პრეზიდიუმი სთხოვს ახალშექმნილი კლუბების ხელმძღვანელებს, წარმოადგინონ ადგილებზე კლუბების რეგისტრაციის დადგენილების ასლი. მისამართი: თბილისი — 380096, კოსტავას, 14, „ლელოს“ რედაქცია. ასოციაციისათვის.

## ინგლისური ენის შესასწავლად

„ლელოს“ რედაქციაში სპორტული ჟურნალისტებისათვის გაიხსნა ინგლისური ენის სრულყოფილად შესწავლის კურსები. მსურველებმა მოგვაკითხეთ რედაქციაში 5 და 6 აპრილს. სწავლის საფასურს სპონსორი გაიღებს.

„ლელოს“ რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების, გაერთიანების, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო ორგანიზაციის, სასწავლო დაწესებულების ფიზკულტურის კოლექტივის

# დებულება

## I. საერთო დებულებანი

წარმოების, გაერთიანების, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო ორგანიზაციის, სასწავლო დაწესებულების ფიზკულტურის კოლექტივი წარმოადგენს პროფკავშირების საქართველოს ეროვნული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის" პირველად ორგანიზაციას, მის საფუძველს.

პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს ზემდგომი პროფკავშირული ორგანოების გადაწყვეტილებებით, სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წესდებით, აღნიშნული დებულებით, საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით.

ფიზკულტურის კოლექტივის მუშაობას წარმართავენ უშუალოდ პროფკავშირის კომიტეტები და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ადგილობრივი საბჭოები შესაბამისი სამეურნეო რგოლების აქტიური მონაწილეობით.

ფიზკულტურის კოლექტივის ძირითადი ამოცანებია:

— კოლექტივის წევრების გაჯანსაღებისათვის ზრუნვა ფიზიკურ კულტურაში, მასობრივ სპორტსა და ტურიზმში მათი აქტიური ჩაბმის გზით;

— მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის ფართო პროპაგანდა; ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სისტემატიური მეცადინეობისადმი მათი დაინტერესების ზრდის უზრუნველყოფა.

— კოლექტივის წევრთა გაჯანსაღებისათვის სათანადო პირობების შექმნისათვის ზრუნვა;

— ფიზკულტურულ-მასობრივ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში პროგრესული ფორმების დანერგვა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, არსებულის ეფექტურად გამოყენება;

— სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინება და პოპულარიზაცია; საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლა.

## II. ფიზკულტურის კოლექტივის ორგანიზაციული საფუძვლები

1. ფიზკულტურის კოლექტივი შეიძლება შეიქმნას სამუშაო, ან სწავლის, აგრეთვე ტერიტორიული პრინციპით, თუ მასში გაერთიანების სურვილს გამოთქვამს არანაკლებ 15 კაცისა.

2. ფიზკულტურის კოლექტივი იქმნება ორგანიზაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით; შექმნის შემდეგ ადგილობრივი პროფკომიტეტის წარდგინებით მის რეგისტრაციას ახდენს სპორტსაზოგადოება „შევარდენის" შესაბამისი რაიონული, საქალაქო, საოლქო საბჭო.

3. ისეთი მცირერიცხოვანი ორგანიზაციების ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში ჩასაბმელად, სადაც არ არის შესაძლებელი ფიზკულტურის კოლექტივის შექმნა, შეიქმნება გაერთიანებული ფიზკულტურის კოლექტივები დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპებით, მასში შემავალი ერთ-ერთი პროფკავშირის კომიტეტის ბაზაზე;

4. ფიზკულტურის კოლექტივის წევრები შეიძლება იყვნენ ამ ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეთა და თანამშრომელთა ოჯახის წევრებიც.

5. ფიზკულტურის კოლექტივის წევრად ითვლება ის პირი, რომელიც აქტიურად არის ჩაბმული ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში და იხდის საწევრო შესატანს.

6. ფიზკულტურის კოლექტივის საქმიანობა დამყარებულია დემოკრატიის, საჯაროობის, თვითმმართველობისა და მისი თითოეული წევრის ინიციატივიანობის პრინციპებზე.

7. ფიზკულტურის კოლექტივს, რომელიც მიიპოვებს მაღალ შედეგებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში, ამასთან, დააკმაყოფილებს სათანადო დებულებით გათვალისწინებულ პირობებს, შეიძლება მიენიჭოს „სპორტული კლუბის" წოდება.

ამ წოდების მინიჭება ხდება სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი პროფკავშირული ორგანოების წარდგინების შედეგად.

## III. ფიზკულტურის კოლექტივის ხელმძღვანელი ორგანოები

ფიზკულტურის კოლექტივის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს მისი წევრების საერთო კრება, ან კონფერენცია, რომელიც მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ და ითვლება უფლებამოსილად თუ მასში მონაწილეობას იღებს წევრთა ნახევარზე მეტი.

განხილულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება ღია კენჭისყრით.

საერთო კრება (კონფერენცია):

— ისმენს და განიხილავს ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს ანგარიშს და იღებს დადგენილებას საანგარიშო მოხსენების გამო.

— ისმენს პროფკომიტეტის, ან ფიზკულტურის სარევიზიო კომისიის ინფორმაციას ფიზკულტურულ-მასობრივ, გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაზე გახარჯული სახსრებისა და საწევრო ანარიცხების გადახდის მდგომარეობის შესახებ.

— ირჩევს საზოგადოების რაიონული და საქალაქო კონფერენციების დელეგატებს.

— ამტკიცებს საბჭოს მუშაობის გეგმებს, ფიზკულტურულ-მასობრივი, გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების კალენდარს.

— შეიმუშავებს და წარუდგენს პროფკავშირის კომიტეტს ხარჯთაღრიცხვებს სხვადასხვა ღონისძიებებზე.

— იღებს გადაწყვეტილებებს ფიზკულტურის კოლექტივში წევრთა მიღებისა და გარიცხვის შესახებ.

— ანგარიშგება-არჩევნები ფიზკულტურის კოლექტივებში ტარდება სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილ ვადებში; საანგარიშო-საარჩევნო კრება უფლებამოსილია თუ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა.

— თუ ფიზკულტურის კოლექტივს გახსნილი აქვს საკუთარი ანგარიში ბანკში, საერთო კრებაზე ხდება სარევიზიო კომისიის არჩევა.

## IV. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო

1. საანგარიშო პერიოდში მიმდინარე მუშაობას ხელმძღვანელობს ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო, რომელსაც ირჩევს საერთო კრება (კონფერენცია) 3-15 კაცის შემადგენლობით.

2. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს; ანაწილებს ფუნქციებს საბჭოს წევრებს შორის.

3. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს პროფკავშირის კომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ზემდგომი საბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით, ადმინისტრაციასთან და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტში.

4. ფიზკულტურის კოლექტივის შიგნით, განყოფილებებში, ცვლებში, ფერმებში, რგოლებში და სხვა, შეიძლება შეიქმნას საამქროს ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებშიაც ერთი წლის ვადით აირჩევა საამქროს ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო, ან ჯგუფი. ისინი მუშაობენ საამქროს პროფკომიტეტისა (პროფბიუროს) და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს ხელმძღვანელობით.

5. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს სხდომა ტარდება არანაკლებ თვეში ერთხელ. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმების უმრავლესობით და ეცნობება ფიზკულტურის კოლექტივის წევრებს.

6. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

### ა) ორგანიზაციული მუშაობა

პროფკავშირის კომიტეტთან და ადმინისტრაციასთან ერთად ზრუნავს კოლექტივის წევრთათვის სათანადო პირობების შესაქმნელად, ფიზიკურ კულტურასა და მასობრივ სპორტში აქტიურად ჩაბმის მიზნით. ახორციელებს ღონისძიებათა კომპლექსს მშრომელთა გაჯანსაღებისათვის ფიზიკური აღზრდის ერთიანი პროგრამების შემუშავების გზით.

ახდენს ფიზკულტურულ-მასობრივი, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის დაგეგმვას, საზღვრავს მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

უზრუნველყოფს წინადადებების შემუშავებას ადმინისტრაციასთან კოლექტიურ ხელშეკრულებებში, აგრეთვე „ჯანმრთელობის" მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებში გასათვალისწინებლად, აწესებს კონტროლს მათი შესრულების მიმდინარეობაზე.

ახდენს ფიზკულტურის კოლექტივში წევრთა მიღებას. ქმნის საამქროს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, ჯგუფებს და ხელმძღვანელობს მათ მუშაობას; ზრუნავს ფიზკულტურული აქტივის მომზადებაზე, ამაგრებს მათ მუშაობის ცალკეულ უბნებზე;

ხელმძღვანელობს შტატიანი ფიზკულტურული მუშაკების საქმიანობას; წარმართავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევას და კოორდინაციას ფიზიკურ კულტურაში, მასობრივ სპორტსა და ტურიზმში მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების აქტიურად ჩაბმის მიზნით;

სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად. აქტიურად მონაწილეობს ორგანიზაციის კულტურულ-სპორტული კომპლექსის საქმიანობაში;

ეწევა ცხოვრების ჯანსაღი წესის ფართო პროპაგანდას კოლექტივის წევრთა შორის.

### ბ) ფიზკულტურულ-მასობრივი, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა

ადმინისტრაციასთან და პროფკავშირის კომიტეტთან ერთად მონაწილეობს შრომის რეჟიმში საწარმოო ტანვარჯიშისა და საწარმოო ფიზკულტურის ეფექტურად ჩართვის საქმეში; ქმნის ჯანმრთელობის საამქროებს, აწყობს სატრენაჟორო და ფსიქოლოგიური განტვირთვის ოთახებს, სამედიცინო-აღდგენით ცენტრებს;

სამედიცინო დაწესებულებებთან ერთად განსაზღვრავს ფიზკულტურულ-სპორტული მეცადინეობების ფორმებსა და შინაარსს შრომის ხასიათისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;

ახდენს ფიზკულტურის მოყვარულთა სხვადასხვა სახის კლუბების, სექციების, ჯგუფების ჩამოყალიბებას, ხელმძღვანელობს მათ მუშაობას.

ატარებს სხვადასხვა სახის მასობრივ შეჯიბრებებს, პირველობებს, ტურისტულ ღონისძიებებს; ფიზკულტურასა და სპორტში დამოუკიდებლად მომეცადინეთათვის აყალიბებს საკონსულტაციო კაბინეტებსა და პუნქტებს.

ორგანიზაციას უწევს კოლექტივის ფიზკულტურელთა მონაწილეობას რაიონულ, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში;

სამედიცინო დაწესებულებებთან ერთად ახორციელებს კონტროლს ფიზკულტურელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

### გ) სამეურნეო მუშაობა

ზრუნავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და არსებულის ეფექტურად გამოყენებისათვის, სპორტული ინვენტარის მოვლა-პატრონობისათვის, მშრომელთა გაჯანსაღებისათვის გამოყოფილი სახსრების ეფექტურად ხარჯვისათვის.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ფინანსურ საქმიანობას, ახდენს ხარჯთაღრიცხვების შემუშავებას სხვადასხვა ღონისძიებებზე; ხსნის სპორტული და ტურისტული ინვენტარის გაქირავების პუნქტებს.

ფიზკულტურის კოლექტივი აწარმოებს შემდეგ დოკუმენტაციას:

— ფიზკულტურის კოლექტივის მუშაობის აღრიცხვის ჟურნალი;

— ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს სამუშაო გეგმები;

— სპორტული თანრიგების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მწვრთნელების წოდებების მინიჭების დოკუმენტები.

— ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული ღონისძიებების ჩატარების ოქმები, მათი დებულებები;

— წლიური სტატისტიკური ანგარიშები სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

— სპორტული სექციებისა და სხვადასხვა სახის გამაჯანსაღებელი ჯგუფების მუშაობის აღრიცხვის ჟურნალი.

— ფიზკულტურის კოლექტივს შეიძლება ჰქონდეს საპატიო წიგნი და კოლექტივის სპორტული რეკორდების აღრიცხვის ჟურნალი.

## V. ფიზკულტურის კოლექტივის საფინანსო საქმიანობა და შტატები

ფიზკულტურის კოლექტივს აფინანსებს პროფკომიტეტი, გაერთიანებული ფიზკულტურის კოლექტივებისას კი, ამავე სახსრების კოოპერირების გზით; აგრეთვე, ფასიანი მომსახურებით ამონაგები სახსრებითა და სხვა შემოსავლებით.

— პროფკომიტეტთან და „შევარდენის" შესაბამის რაიონულ და საქალაქო საბჭოსთან შეთანხმებით ფიზკულტურის კოლექტივს შეუძლია საკუთარი ანგარიშის გახსნა ბანკში. ინდივიდუალური საწევრო ანარიცხების ოდენობას განსაზღვრავს ფიზკულტურის კოლექტივის საერთო კრება, სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წესდების შესაბამისად, მაგრამ არანაკლები 3 მანეთისა, წლის განმავლობაში. პენსიონერებისა და სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის კი, არანაკლებ 1 მანეთისა კალენდარული წლის განმავლობაში. ინვალიდები, ობოლი და მშობელთა ზრუნვას მოკლებული ახალგაზრდები თავისუფლდებიან საწევრო შესატანებისაგან. ინდივიდუალური საწევრო ანარიცხებიდან შემოსული თანხის 80 პროცენტი რჩება ფიზკულტურის კოლექტივის განკარგულებაში, 20 პროცენტი კი გადაერიცხება შესაბამის რაიონულ და საქალაქო საბჭოებს სახსრების კოოპერირებისთვის რეგიონებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მიზნით. ინდივიდუალური საწევრო ანარიცხების გადახდა ხდება სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

ფიზკულტურის კოლექტივის სახსრები გაიხარჯება ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებაზე, ფიზკულტურული კადრებისა და აქტივის მომზადებაზე, სპორტული და ტურისტული ინვენტარის შეძენაზე, სპორტული ბაზების მოწყობასა და ინვენტარით მათ აღჭურვაზე, ორგანიზაციულ ღონისძიებებზე, ბაზების იჯარაზე, ფიზკულტურული კადრების შრომის ანაზღაურებასა და წახალისებაზე.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს ფიზკულტურის კოლექტივის ან პროფკომიტეტის სარევიზიო კომისია.

ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს საშტატო განრიგისა და მუშაკთა ხელფასის განაკვეთების განსაზღვრა ხდება დადგენილი წესის შესაბამისად პროფკავშირების საბჭოებისა და კომიტეტების მიერ.

## VI. ფიზკულტურის კოლექტივის წევრთა უფლება-მოვალეობანი

1. ფიზკულტურის კოლექტივის წევრს უფლება აქვს: უფასოდ იმეცადინოს კოლექტივში შექმნილ სპორტულ და ტურისტულ სექციებში, გუნდებში, სხვადასხვა სახის გამაჯანსაღებელ ჯგუფებში; მონაწილეობა მიიღოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, ტურისტულ ლაშქრობებში, გამოვიდეს თავისი კოლექტივის გუნდების შემადგენლობაში სხვადასხვა შეჯიბრებებსა და პირველობებზე; ისწავლოს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე; ისარგებლოს სპორტული ბაზებითა და ნაგებობებით; ინვენტარითა და სპორტული ფორმით; ატაროს ფიზკულტურის კოლექტივის ემბლემა და სამკერდე ნიშანი;

მონაწილეობა მიიღოს კრებებსა და კონფერენციებზე საკითხთა განხილვაში; შეიტანოს წინადადებები ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხებზე; აირჩიოს და არჩეულ იქნას ფიზკულტურის კოლექტივის ხელმძღვანელ ორგანოებში; იმუშაოს სხვადასხვა საზოგადოებრივი კომისიებისა და სექციების შემადგენლობაში.

2. ფიზკულტურის კოლექტივის წევრი ვალდებულია:

დაიცვას სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წესდება, დროულად გადაიხადოს საწევრო ანარიცხები, შეასრულოს საზოგადოების ერთდროული დავალებები. ილვაწოს ცხოვრების ჯანსაღი წესით დამკვიდრებისათვის; რეგულარულად იმეცადინოს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, განამტკიცოს საკუთარი ჯანმრთელობა, მოამზადოს საკუთარი თავი მაღალნაყოფიერი შრომისათვის; პერიოდულად გაიაროს სამედიცინო შემოწმება, დაიცვას პირადი ჰიგიენა, გაუფრთხილდეს ფიზკულტურის კოლექტივის ქონებას, მონაწილეობა მიიღოს ფიზკულტურის კოლექტივის მიერ ორგანიზებულ-მასობრივ, გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებში.

## VII. ფიზკულტურის კოლექტივის უფლებები

ფიზკულტურის კოლექტივს უფლება აქვს:

გახარჯოს ფიზკულტურულ-მასობრივი, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობისათვის გამოყოფილი სახსრები შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე; შეიტანოს წინადადებები პროფკომიტეტსა და ადმინისტრაციაში იმ წევრების მატერიალური და მორალური წახალისების შესახებ, რომლებიც იკაჟებენ თავიანთ ჯანმრთელობას ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეშვეობით; დააჯილდოვოს სხვადასხვა ჯილდოებით იმ საამქროების ფიზკულტურის კოლექტივები და ფიზკულტურელები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში; წარადგინოს კანდიდატურები სხვადასხვა სახის წოდებების მისანიჭებლად; მიანიჭოს ჭაბუკთა II და III თანრიგები, მსაჯის, საზოგადოებრივი ინსტრუქტორის, მწვრთნელის წოდებები, გასცეს შესაბამისი მოწმობები; ჩაატაროს შეკრებები, სემინარები სპორტის სხვადასხვა სახეობებში მწვრთნელთა მოსამზადებლად; პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებთან ერთად მოაწყოს საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები მუშა-მოსამსახურეთა შვილებისათვის.

ფიზკულტურის კოლექტივს შეიძლება ჰქონდეს სახელწოდება, ემბლემა, სამკერდე ნიშანი, თავისი სპორტული ფორმა და სხვა ატრიბუტიკა.

• • •

**დამტკიცებულია პროფკავშირების საქართველოს ეროვნული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.**

ოქმი № 6, § 10, 7 თებერვალი, 1991 წელი.

• • •

პუბლიკაციის სპონსორია „ლელოს" რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი: ცოტა რამ ისტორიიდან

# გერმანელები და გერმანელი

**1978-80** წლების ევროპის ჩემპიონატი განსხვავებული სისტემით ჩატარდა. ფინალური ეტაპის მასპინძელი — იტალია გათავისუფლდა შესარჩევი თამაშებიდან. დანარჩენი 31 ქვეყნის ნაკრები გუნდი 7 შესარჩევ ჯგუფში ასე განაწილდა: I ჯგუფი — ინგლისი, ჩრდ. ირლანდია, ირლანდია, ბულგარეთი, დანია; II ჯგუფი — ბელგია, ავსტრია, პორტუგალია, შოტლანდია, ნორვეგია; III ჯგუფი — ესპანეთი, იუგოსლავია, კვიპროსი, რუმინეთი; IV ჯგუფი — ჰოლანდია, პოლონეთი, გდრ, შვეიცარია, ისლანდია; V ჯგუფი — ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი, შვეცია, ლუქსემბურგი; VI ჯგუფი — საბერძნეთი, უნგრეთი, ფინეთი, სსრკ; VII ჯგუფი — გფრ, თურქეთი, უელსი, მალტა.

ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპის მატჩები, როგორც მოგახსენეთ, იტალიაში გაიმართა, 8 გუნდი კენჭისყრით ორ ჯგუფში ასე დაწყვილდა: I ჯგუფი.. გფრ, ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი, ჰოლანდია; II ჯგუფი — ბელგია, იტალია, ინგლისი, ესპანეთი. I ჯგუფის თამაშების შედეგები ასეთია: გფრ — ჩეხოსლოვაკია 1:0, ჰოლანდია — საბერძნეთი 1:0, გფრ — ჰოლანდია 3:2, ჩეხოსლოვაკია — საბერძნეთი 3:1, გფრ — საბერძნეთი 0:0, ჩეხოსლოვაკია — ჰოლანდია 1:1. გფრ-ის ნაკრები ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო ჩეხოსლოვაკიამ ჰოლანდიელებს ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა და მეორე საფეხური დაიკავა.

II ჯგუფი. ბელგია — ინგლისი 1:1, იტალია — ესპანეთი 0:0, ბელგია — ესპანეთი 2:1, იტალია — ინგლისი 1:0, ინგლისი — ესპანეთი 2:1, იტალია — ბელგია 0:0.

პირველი და მეორე ადგილების ბედი აქაც ბურთების სხვაობამ გადაწყვიტა — ბელგიამ გაუსწრო ტურნირის მასპინძლებს.

ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ჩეხოსლოვაკიის გუნდი, რომელმაც პენალტების სერიით სძლია იტალიელებს 9:8, თამაშის ძირითადი დრო დასრულდა ანგარიშით 1:1 (დამატებითი — 0:0).

ფინალური მატჩი 22 ივნისს გაიმართა რომის ოლიმპიურ სტადიონზე 60000 მაყურებლის თანდასწრებით. შეხვედრა იმსაჯეს რუმინელმა არბიტრებმა: ნ. რაინეამ, ო. ანდერკომ, დ. ტეტარიმ. და აი ფინალიც: გფრ — ბელგია 2:1 (1:0). გუნდების შემადგენლობა: გფრ — შუმახერი, კალცი, შტილიკე, ფიორსტერი, დიტცი. შუსტერი, ბრიგელი (კულმანი), მიულერი, რუმენიგე, ჰრუბეში, კ. ალოფსი. მწვრთნელი — ი. დერვალი.

ბელგია: პფაფი, მეუსი, გერეტსი, მიდკამპი, რენკინი, კოოლსი, ვან დერ ეიკენი, ვან მური, მომენსი, ვან დერ ელსტი, კულემანსი. მწვრთნელი—გი ტისი. გოლები: ჰრუბეში 10 და 88 წთ), ვან დერ ეიკენი (პენალტით, 70).

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ინგლისელი კევინ კიგანი — 7 გოლი.

გერმანელებმა დაიბრუნეს ოთხი წლის წინ დაკარგული ევროპის ჩემპიონის ტიტული, მათი საუკეთესო თავდამსხმელი რუმენიგე კი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

**მიხეილ საგახტარიშვილი**



რუმენიგე



პფაფი



შუმახერი





კიგანი



ბრიგელი

# კარპოვი ივანჩუკის შესახებ

**მსოფლიო** ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა ამას წინათ ჟურნალისტებთან საუბარში ილაპარაკა ახალგაზრდა დიდოსტატ ვასილი ივანჩუკის შესაძლებლობების შესახებ:

— იგი მეტად ნიჭიერი მოჭადრაკეა, მაგრამ, თუ უნდა, რომ მუდმივად მაღალ შედეგებს მიაღწიოს, ცხოვრების წესი უნდა შეიცვალოს: უფრო დისციპლინირებული უნდა გახდეს. ერთი სიტყვით, ისე უნდა მოიქცეს, როგორც ნამდვილ სპორტსმენს შეეფერება.

კარპოვმა განაცხადა, რომ შესაძლოა ივანჩუკი მსოფლიოს მორიგი, მეთოთხმეტე ჩემპიონი გახდესო.

ივანჩუკი ასე გამოეპასუხა კარპოვს:

— კარპოვი კვლავ ისე გრძნობს თავს საბჭოთა ჭადრაკში, როგორც ადრე — ნამდვილ ბატონ-პატრონად. ასეთი შენიშვნებიც, ალბათ, ამიტომ მომცა. მე კი ვფიქრობ, რომ ისე ვცხოვრობ, როგორც ნამდვილ სპორტსმენს შეეფერება. მივაღწევ თუ არა მაღალ შედეგებს, ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. თუ ბედმა გამიღიმა, ამის გარეშე კი შეუძლებელია წარმატებაზე ფიქრი, შეიძლება მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტიც გავხდე.

როგორც ცნობილია, ივანჩუკმა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ასპარეზობის მერვედფინალში დიდი ანგარიშით 4,5:0,5 დაამარცხა ლენინგრადელი დიდოსტატი ლეონიდ იუდასინი. ახლა იგი გაცილებით უფრო ძნელ მეტოქეს — არტურ იუსუპოვს უნდა შეხვდეს. რა თქმა უნდა, არავინ იცის, რითი დამთავრდება ეს მატჩი და, საერთოდ, ვის უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა.

ბორის სპასკი:

# „ჭადრაკი კოლექტიურ თამაშს ემსგავსება!“

**მსოფლიო** ექსჩემპიონმა ბორის სპასკიმ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ თანამედროვე საჭადრაკო ორთაბრძოლა რაღაც კოლექტიურ თამაშს ემსგავსება.

— 1972 წელს მე და ფიშერი რეიკიავიკში რომ ვთამაშობდით, მხოლოდ ორ-ორი სეკუნდანტი გვეხმარებოდა. კასპაროვსა და კარპოვს კი უკანასკნელ შეხვედრაში მსოფლიო პირველობაზე მთელი „შტაბები“ ჰყავდათ თან. რას იზამ, ასეთია თანამედროვე ჭადრაკი.

კითხვაზე, რა უნდა გაკეთდეს, რომ მოჭადრაკეების საქმეში მთელი კოლექტივები არ ჩაერიონ, სპასკიმ ასე უპასუხა:

— ჩემი აზრით, თამაში 60 სვლამდე უნდა გაგრძელდეს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაიდოს. ასეთ შემთხვევაში შეხვედრების უმრავლესობა დასრულდება, პარტიები აღარ გადაიდება. მათ ბედს ველარც „შტაბები“ გადაწყვეტენ, ვერც კომპიუტერები, რომლებსაც ამ ბოლო ხანს იყენებენ გადადებული პარტიების გარჩევისას.

# დამხობილი „მეამბოხეები“

**ორი** კვირის წინ დაიწყო და სადაცაა დასრულდება აშშ-ის სტუდენტ კალათბურთელთა ჩემპიონატი, რომელსაც ჟურნალისტები მის გარშემო ამტყდარი ტრადიციული აჟიოტაჟის გამო „მარტის სიგიჟეს“ უწოდებენ. შეჯიბრება დაიწყო უმაღლესი ტიტულის მაძიებელმა სამოცდათოთხმა საუნივერსიტეტო კოლექტივმა. სადღეისოდ კი ბრძოლას ორად-ორი გუნდი შემორჩა—დიუკი და კანზასი. როგორც ხედავთ, ფინალისტთა შორის არ არის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, შარშანდელი ჩემპიონი ლას-ვეგასი, რომელიც უაღრესად მძაფრ ბრძოლაში დამარცხდა დიუკის კალათბურთელებთან — 77 : 79.

მატჩის დამთავრებამდე 12,7 წამით ადრე ფინალისტის ვინაობა ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი. ინდიანაპოლისის კალათბურთის სასახლეში შეკრებილნი დარწმუნებული იყვნენ, რომ უძლიერესის გამოსავლენად დამატებითი დრო დაინიშნებოდა, მაგრამ გამარჯვებული გუნდის ლიდერმა ლეტნერმა გაბედული ტყორცნა შეასრულა და... ბრძოლის ბედიც თავისიანების სასარგებლოდ გადაწყვიტა. სხვათა შორის, ლეტნერი ამ დღეს საუკეთესო კალათბურთელადაც დაასახელეს — 28 ქულა.

ეს იყო „მორბენალ მეამბოხეთა“ (ასე უწოდებენ ლას-ვეგასის გუნდს) პირველი მარცხი ზედიზედ 45 გამარჯვების შემდეგ. დიუკის კალათბურთელებთან წარუმატებლობის „მთავარი მეამბოხე“, ლას-ვეგასის გუნდის მწვრთნელი ჯერი ტარკანიანი ჯენტლმენურად შეხვდა და მეტოქეს პირველმა მიულოცა გამარჯვება, თანაც აღნიშნა, რომ ისინი გაცილებით უკეთ თამაშობდნენ და დამსახურებულად გავიდნენ ფინალში.

სხვათა შორის, სპეციალისტები სიურპრიზად მიიჩნევენ მეორე ფინალისტის, კანზასის უნივერსიტეტის კალათბურთელთა წარმატებასაც, რომლებმაც ჯერ არკანზასის გუნდი დაამარცხეს (93 : 81), მერე კი ნახევარფინალში მეორე ფავორიტს — ჩრდილოეთ კაროლინის კოლექტივს აჯობეს — 79 : 73.

და აი, მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ფინალური მატჩი დიუკისა და კანზასის უნივერსიტეტების გუნდებს შორის დამთავრდა „ცისფერი ეშმაკების“ (ასე უწოდებენ დიუკის კალათბურთელებს) გამარჯვებით — 72:65.

ამ შეხვედრაში თავიდანვე დიუკის გუნდი ფლობდა უპირატესობას, რომელმაც მეორე ტაიმში 14 ქულას მიაღწია — 61:47. კანზასელებმა თამაშის მიწურულს მძაფრი იერიშები წამოიწყეს და ერთგვარად შეამცირეს კიდეც სხვაობა — 70:65. მაგრამ ეს იყო და ეს. ბრძოლას წერტილი დაუსვა ამ შეხვედრისა და საერთოდ, ტურნირის საუკეთესო კალათბურთელმა, „ცისფერი ეშმაკების“ მთავარმა სნაიპერმა კრისტიან ლეტნერმა.

ამასობაში დამთავრდა ამერიკის სტუდენტთა ჩემპიონატი ქალთა შორის. აქ ყველას აჯობა ტენესის შტატის უნივერსიტეტის გუნდმა, რომელმაც ფინალში ვირჯინიელები დაამარცხა — 70 : 67. „ოთხთა ფინალი“ ამჯერად ახალ ორლეანში მოეწყო. ნახევარფინალებში ტენესიმ სტენფორდის უნივერსიტეტის გუნდს აჯობა (68 : 60), ვირჯინიამ კი კონექტიკუტს (61 : 55).

ტენესის უნივერსიტეტის კალათბურთელები აშშ-ის ჩემპიონის ტიტულს 1987—1989 წლებშიც ფლობდნენ.

# „სამი მუშკეტერიდან“ დღემდე

## ანუ საფრანგეთის ნაკრების შანსები

**სპარსეთის** ყურის ომმა გარკვეული კორექტივები შეიტანა მსოფლიოს სპორტულ ცხოვრებაშიც: კერძოდ, მკაცრად მოწესრიგებულ და რეგლამენტირებულ ჩოგბურთელთა პოპულარული გუნდური ტურნირის — დევისის თასის გათამაშებაში. თებერვლის პროგრამაში შეტანილი ორი მატჩი (აშშ-მექსიკა და საფრანგეთი-ისრაელი) მარტის ბოლო რიცხვებისთვის გადაიტანეს.

აშშ-სა და მექსიკის ჩოგბურთელთა ბრძოლას გარკვეული დაღი დაასვა მეხიკოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ. შეუჩვეველი სიმაღლის მიზეზით ამერიკელები კინაღამ დამარცხდნენ. ყოველ შემთხვევაში, გამოცდილ ბრედ ჯილბერტს რომ არ ემარჯვა, ალბათ სენსაცია მოხდებოდა, ფიქრობენ უცხოეთის სააგენტოების მიმომხილველები.

და მართლაც, მსოფლიოს მეცხრე ჩოგანმა ჯიმ კურიემ ორივე შეხვედრა დათმო ნაკლებად ცნობილ მეტოქეებთან ლუის ენრიკე ერერასთან (98-ე ადგილი) და ლეონარდო ლავალთან. ამერიკელებს პირველი და მესამე ქულა ბრედ ჯილბერტმა მოუტანა, მაგრამ როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ყველაფერი წყვილთა შეხვედრამ გადაწყვიტა. ამერიკულმა დუეტმა (რიკ ლიჩი, ჯიმ პიუ), შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, დაამარცხა ლეონარდო ლავალისა და ხორხე ლოზანოს წყვილი 6:4, 4:6, 6:7, 7:6, 6:4. ეს ორთაბრძოლა ოთხსაათნახევარს გაგრძელდა. მეოთხედფინალში ამერიკელი ჩოგბურთელები ესპანელებს შეხვდებიან.

ფრანგებმა გი ფორჟეს (იგი მსოფლიო კლასიფიკაციით დღეს მეოთხე ნომერია) მეთაურობით მშრალი ანგარიშით დაამარცხეს ისრაელის ნაკრები — 5:0. საფრანგეთის გუნდს ფავორიტად თვლიან მაისის მეოთხედფინალურ მატჩში ავსტრალიელებთანაც. ის კი არა, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ფრანგებს, „სამი მუშკეტერის“ (კოშე, ბოროტრა, ლაკოსტა) შემდეგ ასეთი ძლიერი გუნდი არ ჰყოლიათ („სამ მუშკეტერს“ კი 20-30 წლებში თასი ექვსჯერ აქვს მოგებული).

ბოლო 45 წლის მანძილზე პირველად მოუგო ჩეხოსლოვაკიელებს იუგოსლავიის ჩოგბურთელთა კოლექტივმა — 4:1. ხვდებით ალბათ, მთავარი „დამნაშავე“ ამ წარმატებაში მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი გორან ივანიშევიჩი უნდა იყოს და მართლაც: მან ჯერ პეტრ კორდას აჯობა, მერე კარელ ნოვაჩეკს და ბოლოს სლობოდან ჟივოინოვიჩთან ერთად წყვილთა შეჯიბრებაც მოიგო.

გერმანიის ნაკრებმა, რომლის ღირსებას ამჯერად ბორის ბეკერიც იცავდა, აჯობა არგენტინის გუნდს — 3:0.

ნახევარფინალში გერმანელები აშშ-ესპანეთის მატჩში გამარჯვებულს შეხვდებიან, იუგოსლავიელები კი საფრანგეთ-ავსტრალიას შორის უძლიერესს.



მკლავჭიდი — ასეთი ვაჟკაცური და ასეთი... საყოველთაო! თითქოს პარადოქსულია ეს ფრაზა, მაგრამ ვინც გუშინ ეწვია თბილისის ცირკს, სადაც დაიწყო საქართველოს ღია ჩემპიონატი მკლავჭიდში ინვალიდთა შორის, დარწმუნდებოდა ამ სიტყვების სამართლიანობაში. სურათზე აღბეჭდილია რუსთაველ გოჩა ფილაურისა (მარცხნივ) და თბილისელ ზვიად ზაქაშვილის ორთაბრძოლის მომენტი.

# ჟან ალეზი — ავტორბოლის მომავალი „პროფესორი"

**ჟან ალეზი** დაიბადა 1964 წლის 11 ივნისს, საფრანგეთის ქალაქ ავინიონში, სიცილიელი ემიგრანტის ოჯახში. მისი მამა, ფრანკო, აქ 1958 წელს დასახლდა, მეუღლესთან, მარჩელა დი რიეზისთან ერთად. ჟანი ოჯახში შუათანაა, ჰყავს უფროსი ძმა ჯუზეპე და უმცროსი და — მარია კატერინა.

სიცილიის ქალაქ ალკამოდან ფრანკო ალეზიმ საკუთარი ავტოსახელოსნო ავინიონში გადმოიტანა. პატარა ჟანი მთელ დღეებს მამასთან ატარებდა და, ალბათ, ამან განაპირობა მისი გატაცება ავტოსპორტით.

ჟან ალეზი 15 წლამდე კარტინგით ასპარეზობდა. შემდეგ „რენოს თასის" გათამაშებაში დაიწყო გამოსვლა. მოგვიანებით ჟანი საფრანგეთის ჩემპიონი გახდა „ფორმულა 3" კლასში. სპონსორების დახმარებით ახალგაზრდა პილოტი 1988 წელს „ფორმულა 300" კლასში სასპარეზოდ მიიწვიეს. 1989 წელს ალეზიმ ედი ჯორდანის გუნდს ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა და ამავე კლასში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. იმ წელსვე იგი „ფორმულა 1" კლასში გადავიდა. ჟან ალეზი სწრაფად შეეთვისა ახალ შეჯიბრებას. მან „ტაირელის" საჭესთან მეოთხე ადგილი დაიკავა საფრანგეთში. შარშან ალეზი 24-ჯერ გამოვიდა სტარტზე, ორჯერ მეორე იყო „ფენიქსსა" და მონტე-კარლოში და, საბოლოოდ, პირად ჩათვლაში მეცხრე ადგილი დაიკავა 13 ქულით. სულ, წელიწადნახევარში, მან 21 ქულა დააგროვა.

ჟან ალეზიმ დაამტკიცა, რომ „ფორმულა 300" კლასში გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა. კენ ტაირელის დახმარებით „ფორმულა 1"-ის ჩემპიონატში ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ 25 წლის ახალგაზრდა პილოტის მიწვევას ბევრი ძლიერი გუნდი ცდილობდა, მათ შორის, „მაკლარენიც".

„ფორმულა 1" კლასში კიდევ ერთი სამხრეთელი მრბოლი გამოჩნდა ავტომობილის მართვის განსაკუთრებული, აგრესიული მანერით. ამაში სპეციალისტები უმალ დარწმუნდნენ, როცა ალეზი პირველად გამოვიდა ტრასაზე 1989 წელს, „ლე კასტელზე". „ტაირელში" მან მიქელე ალბორეტო შეცვალა.

ფრანგ პილოტს ტესტირებაც კი არ გაუვლია, ისე მიუჯდა „ტაირელის" საჭეს და, საბოლოოდ, მეოთხე ადგილი დაიკავა.

„ფენიქსზე", შარშანდელი სეზონის გახსნის რბოლაში, მან გაუსწრო „ფორმულა 1" კლასის აღიარებულ ოსტატს აირტონ სენას.

მისი მანერები არც ნაიჯელ მენსელს მოსწონს, რომელმაც თვითონ იწვნია ალეზის შეტევების სიმძაფრე.

სპეციალისტები ჟან ალეზის დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ალეზის გადაწყვეტილებას — ეჩივლა „ტაირელისთვის" ბრიტანეთის სასამართლოში, რათა გუნდს გაეუქმებინა კონტრაქტი 1991 წლისთვის და, მას შესძლებოდა სხვა გუნდში გადასვლა, სენსაციური შედეგი მოჰყვა.

კენ ტაირელი გრძნობდა, რომ იგი მაინც „დაკარგავდა" ავტორბოლების „ვუნდერკინდს", თუმცა, შეეცადა კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივებას. მას იმედი ჰქონდა, რომ ალეზი სასამართლო პროცესს წააგებდა და კვლავ მის გუნდში დარჩებოდა.

როცა „ფენიქსის" ტრასაზე 26 ავტომრბოლი განლაგდა 1990 წლის სეზონის პირველი „გრან პრის" გასათამაშებლად, არავინ იყო ისე ოპტიმისტურად განწყობილი, როგორც კენ ტაირელი. მის დანაოჭებულ სახეს ღიმილი დასთამაშებდა — გუნდი კარგად მომზადებული შეხვდა სეზონს: ჟან ალეზი „ტაირელის" პირველი პილოტი იყო; ჰარვი პოსტლითუეიტი და ჟან-კლოდ მიგო, „ფერარის" ყოფილი ინჟინრები, ახლა „ტაირელს" ემსახურებოდნენ; „ფერარიდან" გადმოვიდა ხუან ვილადელპრატი და გუნდის მენეჯერი გახდა.

„ტაირელს" დაგეგმილი ჰქონდა მსოფლიოში უძლიერესი ფირმის, „ჰონდას" 10-ცილინდრიანი ძრავის მიღება წლევანდელი სეზონისთვის.

მაგრამ, მოგვიანებით, „ტაირელის" საქმეები აიწეწა, გუნდს საქმე ცუდად წაუვიდა: სპონსორებმა უარი თქვეს დახმარებაზე, ალეზიმ „ტაირელის" საჭესთან ბოლო ორ ეტაპში იასპარეზა, მიგო „ფერარიში" დაბრუნდა, ვილადელპრატი „ბენეტონში" გადავიდა.

სასამართლო პროცესი კი ასე დასრულდა: „ფერარიმ" ჯარიმა გადაუხადა „ტაირელს" და „უილიამსს", მაგრამ გააფორმა კონტრაქტი ჟან ალეზისთან. იტალიურ გუნდთან დადებული ხელშეკრულება ერთწლიანია, მაგრამ შეიძლება გახანგრძლივდეს.

„ფანტასტიკურია, მე აღფრთოვანებული ვარ" — განაცხადა ჟან ალეზიმ წვეულებაზე, რომელზეც მან მეგობრებთან და მშობლებთან ერთად აღნიშნა ახალი კონტრაქტი. „პროსტი ჩემი კერპია, მოხარული ვარ, რომ მასთან ერთად ვიასპარეზებ. „ფერარის" მართვას ბავშვობიდან ვოცნებობდი", — დასძინა ფრანგმა ავტომრბოლმა.

ჟან ალეზი „ფერარის" რიგებში მოასპარეზე მეცხრე ფრანგი იქნება. 1950 წლიდან დღემდე იტალიურ გუნდში გამოდიოდნენ რაიმონ სომერი, მორის ტრენტინიანი, მანცონი, ჟან ბერა, დიდიე პირონი, პატრიკ ტამბე, რენე არნუ და, ბოლოს, ალენ პროსტი.

ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე, კითხვაზე, თუ ვინ იქნება 90-იანი წლების საუკეთესო ავტომრბოლი, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და კონსტრუქტორთა ასოციაციის პრეზიდენტმა ბერნი ეკლსტოუნმა დაუფიქრებლად უპასუხა — ჟან ალეზი!

**დავით ჩუბინიძე**

## კალეიდოსკოპი

### კომისია მუშაობს

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის მიერ საგანგებოდ შექმნილი კომისია სწავლობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტში შექმნილ ვითარებას. კომისიაში შედიან მ. ბაიე (სენეგალი), ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი კევინ გოსპური, ჟან-კლოდ განგა (კონგო), ანრი ადელოფი (ნიგერია) და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალური დირექტორი ფრანსუა კონრადი (საფრანგეთი).

თუ კომისიამ სასიკეთო დასკვნა გამოიტანა, დადგება საკითხი სამხრეთ აფრიკელი სპორტსმენების ოლიმპიურ თამაშებში დაშვების შესახებ, სადაც ისინი უკანასკნელად 1964 წელს გამოდიოდნენ, შემდეგ კი აპარტეიდის გამო აეკრძალათ ასპარეზობა.

### გაფიცვით იმუქრებიან

**ბორის** ბეკერმა ჟურნალ „შტერნის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ სასტიკი წინააღმდეგია საჩოგბურთო შეჯიბრებაში ტელეკომპანიების ყოველგვარი ჩარევისა. სრულიად დაუშვებელია, როცა ტელეკომპანიების წარმომადგენლები ულტიმატური ფორმით კარნახობენ ორგანიზატორებს უმნიშვნელოვანესი შეხვედრების გამართვის ვადებს, მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ითვალისწინებენ და იოლად იყაბულებენ შეჯიბრების თაოსნებს.

— თუკი ასე მოხდა აშშ-ის წლევანდელ ჩემპიონატშიც — თქვა ბეკერმა — შეჯიბრების ყველა უძლიერეს მონაწილეს დავიყოლიებ და ნამდვილ გაფიცვას მოვაწყობთ.

### ამერიკელი ტელეკომენტატორის აზრით

**აშშ-ში** კარგად ცნობილმა ტელეკომენტატორმა მერი კარილიომ განაცხადა, რომ უახლოესი წლები ქალთა ჩოგბურთში აღინიშნება შტეფი გრაფის და მონიკა სელეშის პაექრობით. კარილიოს თუ დავუჯერებთ, „ვარსკვლავების განლაგება" სელეშს უწყობს ხელს და იგი ამიტომაც იგებს ამდენ მატჩს.

უნდა ითქვას, რომ ამ ტელეკომენტატორმა რამდენადმე შეიცვალა აზრი. ჩოგბურთის გულშემატკივრებს არ დავიწყებიათ, რომ 1990 წლის სეზონის დასაწყისში კარილიო მოელოდა გრაფ-საბატინის დიდ მეტოქეობას, მაგრამ ეს შეხედულება მცდარი გამოდგა. მიმომხილველი აცხადებს, რომ სელეშს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს 1985 წლიდან, როცა მან გაიმარჯვა „ორინჯ ბოულში" (მსოფლიო პირველობა მოზარდთა შორის), სადაც ფინალურ მატჩში აჯობა იუდიტ ვისნერს ამის შემდეგ იუგოსლაველი საერთოდ გადაბარგდა აშშ-ში, სადაც ფრიად სოლიდური საჩოგბურთო განათლება მიიღო.

### 15 მილიონ დოლარად

**ინგლისის** უდიდესმა რადიოსატელევიზიო კომპანიამ ბი-ბი-სიმ და უიმბლდონის ტრადიციული საჩოგბურთო ტურნირის მესვეურებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად ბი-ბი-სის 15 მილიონ დოლარის ფასად დაეთმო ამ შეჯიბრების ტრანსლირების მონოპოლიური უფლება.

### ვინ დაუდგება ამ წყვილს?

**შტეფი** გრაფმა (გერმანია) და მარტინა ნავრატილოვამ (აშშ) გადაწყვიტეს, რომ წლევანდელ „ფლეშინგ მედოუს" (აშშ-ის ღია პირველობა) წყვილთა თანრიგში ერთად გამოვლენ. ამ „საქმის" თაოსანი ნავრატილოვა გახლდათ.

— მეშინოდა, რომ შტეფი არ მიიღებდა ამ წინადადებას. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ყველაფერი მოგვარდა — განაცხადა მან.

### კუბის საუკეთესო სპორტსმენები

**კუბელი** ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად ამ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებად აღიარებული არიან მძლეოსანი ანა ფიდელია კვიროტი და კეტბურთელი ორესტეს კინდელანი.

### „ტენის მეგეზინის" ანკეტით

**ლონდონის** ცნობილმა ჟურნალმა „ტენის მეგეზინმა" მკითხველებს შორის მოაწყო გამოკითხვა: „ვინ დაწინაურდა ყველაზე სწრაფად პროფესიონალთა შორის ბოლო სეზონის მანძილზე?"

მკითხველთა წერილების გათვალისწინებით, სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა მონიკა სელეში (იუგოსლავია), რომელიც მეექვსედან ჯერ მეორე, შემდეგ კი პირველ ადგილზე გადავიდა და პიტ სამპრასს (აშშ), რომელიც 1990 წლის დამდეგს მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა შორის 81-ე (!) ადგილიდან მეხუთეზე აღმოჩნდა..

### ლუისი არ გამოვა

**1991 წლის** პანამერიკულ თამაშებში აშშ-ის მძლეოსანთა ნაკრები სახელგანთქმული სპრინტერის კარლ ლუისის გარეშე გამოვა. მიზეზი ძალიან პროზაულია — ლუისს არ გადაუხადეს ისეთი ჰონორარი, როგორსაც მოითხოვდა.

### სად ითამაშებს ბიორნ ბორგი?

**როგორც** ცნობილია, ბიორნ ბორგმა გადაწყვიტა დაუბრუნდეს დიდ ჩოგბურთს. ახლა საინტერესოა, კონკრეტულად სად, რომელ შეჯიბრებებში გამოვა ეს სახელგანთქმული შვედი ჩოგბურთელი. ბორგის „მიპატიჟება" ახლა ბევრმა ორგანიზატორმა მოისურვა.

ბორგი მიწვეულია მონტე-კარლოში (22-28 აპრილი), რომში (13-19 მაისი), საფრანგეთის ღია ჩემპიონატში (27 მაისი — 9 ივნისი), რომელიც მან ადრე ექვსჯერ მოიგო. 13-21 ივლისს ბორგმა შტუტგარტშიც უნდა ითამაშოს.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ბორგი ყველა ამ ტურნირში ვერ იასპარეზებს.

### ვინ არის ჩრდილში?

**ნოვი** სადის ოლიმპიადის დროს დიდოსტატი ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი) ესაუბრა დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციის დირექტორს, ბელგიელ ბიზნესმენ ბასელ კოკს. ვერეციმ განაცხადა:

— ქალთა ჭადრაკი მთელ მსოფლიოში ვაჟთა ჭადრაკის ჩრდილშია. უნგრეთი ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია: უნგრელი მოჭადრაკე ვაჟები თვით აღმოჩნდნენ დები პოლგარების ჩრდილში.

ამასთან დაკავშირებით, კოკმა თქვა, რომ მისი ორგანიზაცია აპირებს მეტი ყურადღება მიაქციოს ქალთა ჭადრაკს. კერძოდ, დიდი საერთაშორისო ტურნირისთვის თბილისში, რომელიც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო თარიღს ეძღვნება, დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაცია გამოყოფს 10 ათას დოლარს.

## კალეიდოსკოპი

### წილისყრა — 17 იანვარს

**ევროპის** საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები გაიმართება 1992 წელს შვეციაში, გეტებორგის, სტოკჰოლმის, მალმიოსა და ნორჩეპინგის სტადიონებზე. ფინალისტები ჯგუფებში განაწილდებიან წილისყრით, რომელიც 1992 წლის 17 იანვარსაა დანიშნული გეტებორგში.

როგორც უეფა-ს ბიულეტენი „ევრო-92 ნიუსი" იუწყება, ფინალური ტურნირის პირველი შეხვედრა გაიმართება 10 ივნისს სტოკჰოლმის „რასუნდას" სტადიონზე. ამ მატჩის ერთ-ერთი მონაწილე უკვე ცნობილია, ესაა შვეციის ნაკრები. რაც შეეხება ჩემპიონატის ფინალურ თამაშს, იგი 26 ივნისს მოეწყობა გეტებორგის „ულევის" სტადიონზე.

„სპორტპროგნოზი", მე-15 ტირაჟის პროგრამა (12-14 აპრილი)

| | | | პროგნოზი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრკ ჩემპიონატი ჰოკეიში (პირველი ლიგა) | | | | | | |
| 1. | ასკ (ლენინგრადი) — „სიბირი" (ნოვოსიბირსკი) | 12.IV | 50 | 40 | 10 | 1 |
| 2. | „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) — „დინამო" (ხარკოვი) | 12.IV | 80 | 10 | 10 | X |
| 3. | „ლადა" (ტოლიატი) — „იტილი" (ყაზანი) | 12.IV | 30 | 20 | 50 | 2 |
| იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში | | | | | | |
| 4. | „ნაპოლი" (ნეაპოლი) — „ატალანტა" (ბერგამო) | 14.IV | 50 | 40 | 10 | X |
| 5. | „ბარი" (ბარი) — „ფიორენტინა" (ფლორენცია) | 14.IV | 30 | 10 | 60 | 2 |
| 6. | „ჯენოვა" (გენუა) — „ლაციო" (რომი) | 14.IV | 20 | 70 | 10 | X |
| 7. | „კალიარი" (კალიარი) — „ლეჩე" (ლეჩე) | 14.IV | 40 | 40 | 20 | 1 |
| 8. | „იუვენტუსი" (ტურინი) — „ტორინო" (ტურინი) | 14.IV | 60 | 30 | 10 | 1 |
| ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში | | | | | | |
| 9. | „სევილია" (სევილია) — „ატლეტიკო" (მადრიდი) | 14.IV | 40 | 10 | 50 | 1 |
| 10. | „კადისი" (კადისი) — „ატლეტიკი" (ბილბაო) | 14.IV | 10 | 70 | 20 | 1 |
| 11. | „ლოგრონიესი" (ლოგრონიო) — „ვალიადოლიდი" (ვალიადოლიდი) | 14.IV | 40 | 10 | 50 | 2 |
| 12. | „რეალი" (მადრიდი) — „ვალენსია" (ვალენსია) | 14.IV | 50 | 30 | 20 | X |
| 13. | „ესპანიოლი" (ბარსელონა) — „ბურგოსი" (ბურგოსი) | 14.IV | 80 | 10 | 10 | 1 |

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი" — 93-97-26, „მარაფე" — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 39.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20